საერთაშორისო რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International Scientific-Practical
Referenced Journal

ISSN 2449-2701

ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ
მეცნიერებათა აკადემია

იურისტი
Lawyer
№2



თბილისი - TBILISI
2017

სარჩევი

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიაში 9

საკონსტიტუციო სამართალი

1. **ზაურ ჯინჯოლავა** – კიდევ ერთხელ საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის ერთი საკითხის თაობაზე..... 11
2. **ირაკლი გაბისონია** – შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების სამართლებრივი ასპექტების თანაზომიერების პრინციპი 16

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის პრობლემა

1. **ჯემალ გახოკიძე, სოფო მიდელაშვილი** – კონფლიქტების გადაწყვეტის პრეცედენტები მსოფლიოში (ჰონკონგის მაგალითზე)..... 24

საერთაშორისო სამართალი

1. **ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი** – ხეთური კანონების ერთი ასპექტისათვის..... 31
2. **ალექსანდრე ტალიაშვილი** – მუსლიმანური სამართალი 35
3. **იოსებ გოგაშვილი** – საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში 39
4. **ნენო გაბელია** – სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და მათი უსაფრთხოების საკითხები 44

სისხლის სამართალი

1. **ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია** – სასჯელის შერჩევისა და შეფარდების ზოგიერთი საკითხი 50
2. **გურამ ნაჭყებია** – მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის მიმართების ზოგიერთი საკითხი პროფესორ თ. წერეთლის ნაშრომში „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“..... 60
3. **ჯემალ ჯანაშია** – საქართველოში ნარკომანიასთან და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი . 66

სისხლის სამართლის პროცესი

1. **შოთა ფაფიაშვილი** – კიდევ ერთხელ საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების საკანონმდებლო სრულყოფის შესახებ... 80
2. **მიხეილ მამნიაშვილი, თამარ მამნიაშვილი, გიმზერ ალანია** – მოწმის დაკითხვის ახალი რეგულაციები სისხლის სამართლის პროცესში 84
3. **ირაკლი მინაშვილი** – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი 93

საგადასახადო სამართალი

1. **ირაკლი გაბისონია, იგორ კვესელავა** – დამოუკიდებელი საქართველოს საგადასახადო სისტემისა და კანონმდებლობის შექმნა 97

3. საქართველოში ნარკომანიასთან და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი

ჯემალ ჯანაშია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სტატია ეძღვნება ჩემი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელის გიორგი ტყეშელიაძის ნათელ ხსოვნას.

ნარკომანიასა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას მთელი მსოფლიო ებრძვის. მასთან ბრძოლის სტრატეგია და მეთოდები დროსა და სივრცეში მუდმივად იცვლებოდა, მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ნარკოტიკი – მცენარეული თუ სინთეზური, მამაპაპისეული თუ მოდური, ინექცია თუ მედიკამენტი, დამამშვიდებელი თუ აღმგზნები – ისტორიამ აჩვენა, რომ მათი მომხმარება მუდმივად დაკავშირებულია ხალხთა კულტურულ თავისებურებებსა და მათ ტრადიციებთან. ასე მაგალითად, მცენარე კოკას მოხმარება, რომელიც კოკაინის საწყის პროდუქტს წარმოადგენს, სამხრეთ ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობის ისტორიისა და კულტურის შემადგენელი ნაწილია, იგივე შეიძლება ითქვას ავღანეთში, პაკისტანსა და აზიის ზოგიერთ სახელმწიფოში ოპიუმის ყაყაჩოს მოხმარების შესახებ.[88]

ისტორიამ დაადასტურა, რომ, თუ ერთ ცივილიზაციაში ნარკოტიკული პროდუქტი დადებითად იყო მიღებული, მეორეში იგი მავნედ, უკანონოდ მიიჩნეოდა და განიდევნებოდა; ერთი ცივილიზაცია ხოტბას ასხამდა მას, ხოლო მეორე ბოროტების სიმბოლოდ თვლიდა და ის, რაც კანონიერი იყო წარმოების დონეზე, აკრძალული იყო მოხმარებისათვის.

მსოფლიოს ხალხების ცივილიზებულმა ნაწილმა გააცნობიერა რა ნარკოტიკებთან ბრძოლის ზოგიერთ ისტორიის მწარე გაკვეთილები, ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა აღიარა ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვის პრინციპი და მისი დარღვევისათვის მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციები დააწესა.[89]

– ნარკოტიკის მოხმარების პირდაპირი აკრძალვა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება ნარკოტიკის მოხმარებისა და შეძენისათვს თუნდაც პირადი მოხმარების მიზნით;

– ნარკოტიკის ცალკეულ სახეობათა მოხმარების აკრძალვა;

– ნარკოტიკის მოხმარების აკრძალვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;

– არაპირდაპირი აკრძალვა (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღება პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკის გარკვეული რაოდენობის შენახვისათვის).

მხოლოდ ქვეყანათა მცირე რიცხვის საპირისპიროდ, ქვეყანათა უმეტესი ნაწილი სჯის ნარკოტიკების გამოყენებას. ქვეყნების მიხედვით სასჯელის სიმკაცრის ხარისხი ცვალებადია[90].

პირველი, ყველაზე მკაცრი სახელმწიფოების ჯგუფში ისჯება ფლობა როგორც პირადი სარგებლობის მიზნით, ისე გამოყენების გარეშე ფლობა. ასეთი ქვეყნებია: მალტა (1986 წელს შეცვლილი 1939 წლის 1 სექტემბრის კანონის 22-ე მუხლი), ნიდერლანდები მძიმე ნარკოტიკებთან დაკავშირებით (1976 წლის 23 ივნისის კანონის 2-1 მუხლი), გაერთიანებული სამეფო (1971 წლის 27 მაისის კანონის მე-5 მუხლი).

ქვეყანათა **მეორე ჯგუფი**, ნაკლებად რეპრესიული, სჯის მხოლოდ გამოყენებას: საფრანგეთი (1970 წლის 31 დეკემბრის კანონი ითვალისწინებს თერაპევტული განკარგულების სისტემას, სასამართლოს მიერ დევნა შეწყდება, თუ დაინტერესებული პირი დაემორჩილება დეზინტოქსიკაციის ღონისძიებებს), გერმანია (1981 წლის 27 აგვისტოს კანონი), შვეიცარია (1975 წლის 1975 წლის მარტის 320-ე კანონის 19 aCW 1), შვეცია (1968 წლის 19 მაისის კანონი) და თურქეთი (1953 წლის 9 ივლისის კანონი, სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 402-2). ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ირლანდია, სადაც ნარკოტიკების გამოყენება ისჯება, არა

88 ჯ.ჯანაშია, „XXI საუკუნის გამოწვევა", თბ., 2002, გვ.60.

89 Программа ООН по международному контролю над наркотиками. Типовое законодательство. Вена 1996г

90 ჩ.ჩერველო, „პომპიდუს"ჯგუფის წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობათა შედარებით ანალიზი, ნარკოტიკებით ვაჭრობის და გამოყენების თვალსაზრისით", სისხლის სამართლის სამეცნიერო ჟურნალი, 1990წ. გვ.538.

ყოველთვის ერთნაირად, სასჯელი უფრო სასტიკია მძიმე ნარკოტიკების გამოყენებისა და რეციდივის შემთხვევაში (1977 წლის16 მაისის კანონი).

მესამე ჯგუფს შეადგენენ ქვეყნები, სადაც ნარკოტიკების გამოყენება ისჯება მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, რითაც აიხსნება რეპრესიის დეესკალაცია: მაგალითად, ბელგია (1975 წლის 9 ივლისის კანონის მე-3 მუხლი), სადაც ისჯება მსუბუქი ნარკოტიკის ჯგუფური მოხმარება.

არსებობს ქვეყანათა **მეოთხე ჯგუფი**, რომელთა ლიბერალიზმის გამო მიღებულია ერთდროულად რეპრესიული და დასაშვები მოპყრობა: ესპანეთში არ ისჯება ნარკოტიკის გამოყენება (1983 წლის 25 ივნისის კანონი), მაგრამ მაგისტრატები ზოგჯერ იყენებენ 1970 წლის 4 აგვისტოს უკვე აღდგენილ კანონს, რაც მათ საშუალებას აძლევს საზოგადოებისათვის საშიში ინდივიდების სპეციალურ დაწესებულებებში ინტეგრირება მოახდინონ. **მეოთხე ჯგუფს** უნდა მივაკუთვნოთ იტალიაც. 1990 წლის 9 ოქტომბრის დეკრეტით ისჯება მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება პირადი მოხმარების მიზნით, მაგრამ 1993 წლის იანვრის სახალხო რეფერენდუმით ეს დებულება გაუქმდა და იგი დაკანონებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ (1993 წლის 16 იანვარი-4 თებერვლის განაჩენი). არსებობს მხოლოდ ადმინისტრაციული დანაშაული, ადმინისტრაციული სასჯელებით (როგორიცაა, მაგალითად, მართვის უფლების ჩამორთმევა). ამის მიუხედავად, მაინც იჩენს თავს გარკვეული სირთულეები. მაგალითად, რა იქნება ზღვარი ადმინისტრაციულ დანაშაულსა (ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით ფლობა) და სისხლის სამართლის დანაშაულს (ნარკოტიკის ოდენობა, რომელსაც ლოგიკურად ერთი ადამიანი ვერ მოიხმარს) შორის. ისიც აღსანიშნავია, რომ იტალია საფრანგეთისა და ნიდერლანდებისაგან განსხვავებით უგულებელყოფს თერაპევტულ მკურნალობას[91].

იტალიის მსგავსი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც მიიღო საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას უკანონო შეძენისა და შენახვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელი შეუსაბამო იყო საქართველოს კონსტიტუციასთან და იგი არაკონსტიტუციურად ცნო. ასევე, არაკონსტიტუციურად ცნო ზოგადად ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას შეძენისა და პირადი მოხმარების მიზნით შეძენის შემთხვევაში სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ერთგვარი კოლაფსი შეიქმნა ქართულ მართლმსაჯულებაში. კერძოდ, მივიღეთ დანაშაული სასჯელის გარეშე, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიახუანას“ უკანონოდ შეძენისა და შენახვისათვის მხოლოდ თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელებამდე განუსაზღვრელი ვადითაა შეჩერებული სასამართლოში იმ საქმეთა განხილვა, სადაც პირებს ბრალი ედებათ 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანას“ უკანონო შეძენასა და შენახვაში. 70 გრამამდე მარიხუანა წარმოადგენს დიდ ოდენობას, რომელიც მარიხუანას პირადი მოხმარებისათვის დასაშვებ ოდენობას 15-**ჯერ აღემატება.**

როგორც **გადაწყვეტილებაშია მითითებული, მოხმარებისათვის ერთი გამზადებული – „შეკეთებული“ ღერი სიგარეტის დასამზადებლად საჭიროა, დაახლოებით ერთ გრამამდე მარიხუანა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ** 70 **გრამი მარიხუანის ფლობა მომეტებული სოციალური საფრთხის მატარებელია.** საქართველოს კანონმდებლობით, 50-**დან** 500 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის ოდენობა წარმოადგენს დიდ ოდენობას. პროპორციულობის პრინციპის დაცვით, 70 **გრამამდე ნარკოტიკული საშუალების – მარიხუანის შეძენა-შენახვისათვის, სასჯელის სახით, ზომიერი ვადით თავისუფლების აღკვეთის მუქარის არსებობა საკანონმდებლო დონეზე არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ღირსების ხელმყოფ არაადამიანური, სასტიკი სასჯელის ღონისძიებად, არამედ ასეთი შეზღუდვა უნდ ჩაითვალოს სასჯელის მიზნების მიღწევის ეფექტურ და თანაზომიერ საშუალებად.**[92]

---

91 ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი, „სამართალთა შინაარსი“.გამომცემლობა სანი, თბ., 1999 წ.გვ.91.

92 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს

თუ შევადარებთ, საქართველოს და ევროპული სახელმწიფოების ნარკოტიკების პირადი მიზნით მოხმარებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის სფეროში არსებულ კანონმდებლობას, შევნიშნავთ, რომ **ქართული კანონმდებლობა საკმაოდ პროგრესულია. მასში გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა**, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური პრობლემები, ტრადიციები და სხვ. რადგან ისინი ფუძემდებლური პრინციპებია ქვეყანაში სისხლის თუ სამართლის სხვა ნორმების შემუშავებისას.

ვთვლით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე ცოტა დროს გასწრებულია, რადგან, თუ იტალიის მაგალითს ავიღებთ, იქ არსებული მდგომარეობა სახალხო რეფერენდუმის შემდეგ იქნა მიღებული, ისიც ძალიან უმნიშვნელო უპირატესობით, საქართველში კი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ უჭერს მხარს ნარკოტიკების სფეროში ზედმეტ ლიბერალიზაცის, მითუმეტეს სერიოზული კვლევების გარეშეც კი ცნობილია, რომ თბილისის ბევრ სკოლაში უფროსკლასელების უმეტესობას მარიხუანა გასინჯული აქვს.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს მსჯელობა ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა დიდი ნაწილი, რომელიც გამოხატავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის აზრს, თვლის, რომ კარდინალური ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში შეიძლება ნაჩქარევი აღმოჩნდეს. მეორე, შედარებით მცირე ნაწილი თვლის, რომ დადგა დრო, ამ სფეროში ლიბერალური სახის საკანონმდებლო ცვლილებების გატარებისა, კერძოდ, მათ შემოაქვთ საკანონმდებლო ინიციატივა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის გაუქმდეს არა მარტო სისხლის, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც, ე.ი. გაუქმდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლები.

ამავე ჯგუფის „მეორე ფრთა" უფრო შორს წავიდა. ისინი ითხოვენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის „ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება"[93] გაუქმებას, შემდგომში ლიცენზიების გაცემას და საქართველოში მარიხუანას დათესვა-კულტივაციას, ბიზნესისა და სამედიცინო მოხმარების თვალსაზრისით (მოკლედ თავი კოლუმბიაში ან ავღანეთში გეგონება).

ისინი თვლიან, რომ „ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მათი აღმოფხვრა ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო. შესაბამისად, მრავალ შეკითხვას ბადებს მკაცრი ნარკოპოლიტიკის ეფექტურობა". ისინი ამბობენ, „შეუძლია თუ არა მკაცრ ნარკოპოლიტიკას პრობლემის აღმოფხვრა, თუ არა მინიმუმამდე დაყვანა მაინც, თუ ნარკოტიკების კრიმინალიზაციის პირობებში მოქმედებს ე.წ. აკრძალული ხილის ეფექტი, ანუ მკაცრი ნარკოპოლიტიკა, პირიქით, იწვევს ადამიანების დაინტერესებას აკრძალული ნივთიერებებით და ნარკომომხმარებელთა რაოდენობის ზრდას". მათი აზრით, „კრიმინალიზაციის რეჟიმში ნარკოტიკების მომხმარებლები არიან დამნაშავეები, ინდივიდებს წარედგინებათ ბრალი და იქნება სასამართლო განხილვა, თუ მათ დააფიქსირებენ კანონით აკრძალული ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისას."[94]

გაუმართლებელი აკრძალვის მაგალითად ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1920-23 წლებში, „მშრალი კანონი-ს" მოქმედება მოჰყავთ. „აკრძალვამ ვერ გამოიტანა სასურველი შედეგი. ალკოჰოლით ვაჭრობა, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, არ შეწყვეტილა და აქედან მილიონობით დოლარის შემოსავალს ნახულობდა არა სახელმწიფო, არამედ ორგანიზებული დანაშაული, რომლის გაძლიერებამაც ხელი შეუწყო ისეთი დანაშაულის მომრავლებას, როგორიცაა ქურდობა, მკვლელობა, ძარცვა და სხვა"[95].

ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის მომხრეებს, კრიმინალიზაციის

მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

93 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. გამომცემლობა RISE, თბ., 2012.

94 Hart C., The Scientific Case for Decriminalization, http://reason.com/archives/2013/10/10/the-scientific-case-for-decrim, (მოპოვების თარიღი 2015 წლის 18 დეკემბერი)

95 გ.მირცხულავა, „ნარკოტიკების ლიბერალიზაციის უპირატესობა აკრძალვასთან შედარებით" (ჟურნალი „კრიმინოლოგი", თბ., 2008, №2(3), 35.

მომხრეების იმ არგუმენტის საწინააღმდეგოდ, რომ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია გაზრდის მომხმარებელთა რიცხვს, მოჰყავთ **პორტუგალიის** მაგალითი: „პორტუგალიაში ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის შემდეგ მომხმარებელთა რიცხვის გაზრდას ადგილი ჰქონდა მხოლოდ პირველ ათწლეულში. მტკიცებულებებით არ დასტურდება დეკრიმინალიზაციის მოწინააღმდეგეთა შიში. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ პორტუგალიაში დეკრიმინალიზაციას არ გამოუწვევია ნარკომომხმარებელთა რაოდენობის მნიშვნელოვნად ზრდა. პირიქით, შემცირდა პრობლემატური მომხმარებლების რიცხვი, მოხმარებით გამოწვეული ზიანი და მართლმსაჯულების სისტემის გადატვირთულობა"[96]. პორტუგალიურ ექსპერიმენტზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

ლეგალიზების მოსალოდნელი შედეგები საერთაშორისო კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი პრაქტიკა და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის მსოფლიო ისტორია მიგვანიშნებს, რომ ასეთი მოსაზრებები მეტად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისათვის. აუცილებელია გავერკვეთ იმაში, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოუტანოს ქართველ ერს ნარკოტიკების ლეგალიზებამ და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოუმზადებელმა და ნაჩქარევმა გაუქმებამ.

ჩვენი ქვეყნისათვის ნათელი მაგალითი უნდა იყოს **რუსეთის ფედერაციაში**, 1991 წელს ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების შემდეგ განვითარებული მოვლენები.

იქ ამ გადაწყვეტილებამ უმძიმესი ნეგატიური შედეგები გამოიწვია. კერძოდ, ნარკომანიის აფეთქება მოხდა სწორედ 1992 წელს, როდესაც მოუმზადებლად, ნაჩქარევად გაუქმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის. მომდევნო 5 წელიწადში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი ქვეყანაში 3,6-ჯერ გაიზარდა[97]. შემდეგ იურისტებმა მალევე დააყენეს საკითხი: თუ ნარკოტიკების მოხმარება დაშვებულია, მაშინ არ უნდა იყოს პასუხისმგებლობა პირადი მოხმარების მიზნით მისი დამზადებისა და შენახვისათვის, რაც ლოგიკურია.

სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის ფაქტი, რომ რუსეთი, რომელსაც თავისი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა, ჩვენთვის გასაგები მახასიათებლების გამო, ბევრი საერთო გააჩნია საქართველოსთან დღეს ევროპაში ნარკომანიით ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებული ქვეყანაა, ხოლო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებით მან მრავალ სახელმწიფოს გაუსწრო.

ახლა გავერკვეთ **პორტუგალიური** მიდგომის შუქჩრდილებში. ასეთი გადაწყვეტილების მომხრენი გვაძლევენ „გარანტიას", რომ პირველ ათწლეულში ადგილი ექნება ნარკოტიკების მომხმარებელთა სერიოზულ ზრდას, შემდეგ კი მდგომარეობა დასტაბილურდება და, პირიქით შემცირდება პრობლემურ ნარკომანთა რიცხვი. ამ მოსაზრების მომხრეებს მინდა ვაუწყო, რომ პორტუგალიის წლიური ბიუჯეტი 271 მილიარდი ევროა, ანუ იგი თითქმის 800 მილიარდ ლარს უტოლდება და თავის ეკონომიკის მხრივ 34-ე ქვეყანაა მსოფლიოში[98] .

ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ეგრეთ წოდებულ პორტუგალიურ ექსპერიმენტს მხარში მთელი ევროპული თანამეგობრობა ედგა, ჩვენს შემთხვევაში, რა იქნება, არავინ იცის. ერთი რამ კი ცნობილია, რომ თავისი შეზღუდული რესურსების გამო ქვეყანას ერთი ნარკომანის მკურნალობაზე შეუძლია ერთ ლარამდე დახარჯოს. ევროპაში ეს მაჩვენებელი 70-80 ევროა, ხოლო ჰოლანდიაში, რომლის შესახებაც ასე ხშირია საუბარი ქართულ საინფორმაციო საშუალებებში, 118 ევროა.

ჩვენ ვიცით, როგორი ნარკოტიკული მდგომარეობაა დღეს საქართველოში და რაოდენ უარყოფითად მოქმედებს იგი ჩვენს ახალგაზრდობაზე; არ ვიცით, რა იქნება ლეგალიზების ან ზემოთ აღნიშნული კანონის გაუქმების შემდგომ. ამიტომ, ღირს კი წავიდეთ ასეთ რისკზე?

გადავხედოთ საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოღწევისა და გავრცელების

---

96 Hart C., The Scientific Case for DecriminalizationD http://reason.com/archives/2013/10/10/the-scientific-case-for-decrim

97 Постановление Верховного Совета РФ от 5 декабря 1991 года.

98 http//ru. Tradingeconomics. com/Portugal/govermment-budget-value. 1996

დინამიკას.

70-იან წლებში საქართველოში გამოჩნდა კანაფისებრთა ოჯახის მცენარისაგან დამზადებული ნარკოტიკი (მარიხუანა). 80-იან წლებში მას ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკები მიემატა – ოპიუმი და მორფინი. 90-იან წლებში მდგომარეობა უფრო დამძიმდა უკანონო – ბრუნვაში გამოჩნდა ჰეროინი, კოკაინი და სხვა ახალი ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით უკეთესი მდგომარეობა არც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და არც ევროპის კონტინენტზეა.[99]

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ გაწეული უდიდესი ხარჯებისა, ბრძოლა ჯერჯერობით „ნარკომაფიის" სასარგებლოდ მიმდინარეობს.

ლეგალიზების მომხრეთა მთავარი არგუმენტი „კანონს არ შეუძლია აკრძალოს ის, რაც უშუალოდ არ ვნებს გარშემომყოფთ, ყოველი ადამიანი თავის სხეულს ექცევა ისე, როგორც სურს", წარსული დროა, ყველა ქვეყნის კანონმდებლები ბრალდების განსაზღვრისას, როგორც წესი, ითვალისწინებენ არა მარტო პირდაპირი მატერიალური აქტის წუთიერ ეფექტს, არამედ იმ საშიშროებასაც, რომელსაც ეს აქტი შეიცავს. სწავლობენ მისგან მოსალოდნელ პოტენციურ რისკს და ახდენენ მისი შემდგომი შედეგების სოციალურ შეფასებას.

ავიღოთ ყველაზე მარტივი მაგალითი, წესი „უსაფრთხოების ღვედების ხმარების შესახებ", მისი შეუსრულებლობისათვის დგება პასუხისმგებლობა, თუმცა პიროვნება გარშემომყოფთ უშუალოდ ზიანს არ აყენებს: „როგორც მინდა, ისე ვმგზავრობ. ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნის".

კანონი ისეთი უნდა იყოს, რომ უპირატესობა არ მისცეს იმ მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს, რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს ჩვენი ახალგაზრდა თაობის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე, მის მორალურ ღირებულებებზე, მთლიანად მათ ჯანმრთელობაზე.

ასევე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს იმას, რომ მოსახლეობის პირობითად „კანონმორჩილი" ნაწილი, რომელიც კანონის შიშით იკავებდა თავს ნარკოტიკებისაგან, დაიწყებს მათ მიღებას, ამას კი მოჰყვება მომხმარებელთა სერიოზული ზრდა. „ლედერმანის" კანონი, რომელიც ალკოჰოლს ეხება, რაც უფრო მეტია მომხმარებელი, მით უფრო მეტი იქნება ავადმყოფი – მთელი სიმწვავით ვრცელდება ნარკოტოკებზეც.

დავუშვათ, მოხდა ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზება. სახელმწიფოს მაინც მოუწევს გარკვეული შეზღუდვების დაწესება, რადგან მთლიანი ლეგალიზების განხორციელება შეუძლებელია.

მხედველობაში მისაღებია შემდეგი ფაქტორები:

– ავტომანქანის, სხვა სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის მართვა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ დაუშვებელია;

– წარმოებაში მექანიზმებთან მუშაობა შეუძლებელია;

– დაუშვებელია ასეთი პირების მუშაობა სამართალდამცავ სტრუქტურებში, სპეციალურ სამსახურებში, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში;

– სერიოზულ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული მათი საქმიანობა კერძო სექტორშიც, რადგან, თუ ხელმძღვანელს ეცოდინება მათი ნარკოდამოკიდებულების შესახებ, ასეთ შემთხვევაში ისინი შეეცდებიან მათ თავიდან მოცილებას. ე.ი. საჭირო იქნება ნარკოტიკების მკურნალობაგამოვლილი პირებისათვის გარკვეული კვოტების გამოყოფა, რაც ადვილი საქმე არ იქნება;

– დაუშვებელია მათი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში სტუდენტის ან სხვა სტატუსით მოღვაწეობა;

– მკაცრი კონტროლი დაწესდება არასრულწლოვანთა და ფეხმძიმობის მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მიმართ;

– აუცილებელია აკრძალვები და კანონის ჩარევა ფსიქიკურად დაავადებული ნარკომანი პირების მიმართ;

– დაუშვებელია ნარკომანებისათვის იარაღის რეგისტრაცია და დაკანონება და სხვ.

მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის, სხვადასხვა

---

99 ჯ. ჯანაშია. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმძღვანელო. თბ., 1996.

პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით ქვეყნის ნარკოტიკებისაგან დაცვის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად მკაცრ სამართლებრივ ნორმებს განიხილავს.

ამის ნათელი მაგალითია ორად „გაყოფილი" **კვიპროსის რესპუბლიკა**, სადაც „ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ"კანონის თანახმად, პირი მარიხუანას მოხმარებისათვის, ასევე მისი უკანონოდ შენახვისათვის ისჯება პატიმრობით ორიდან რვა წლამდე.

თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ნორმებს, მარიხუანას – კანაბისის მოხმარება სისხლის სამართლის წესით ისჯება: **პოლონეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, ფინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, ლუქსემბურგში, ნორვეგიასა და შვედეთში. გაერთიანებულ სამეფოსთან** დაკავშირებით შეიძლება დავაზუსტოთ ზოგიერთი მომენტი, კერძოდ, კანაბისთან დაკავშირებული დანაშაული ისჯება პატიმრობით ხუთ წლამდე ვადით. სრულწლოვანი პირის მიმართ პოლიციამ შეიძლება გამოიყენოს გაფრთხილება ან პირი დასაჯოს წესრიგის დარღვევის გამო, რაც კანაბისის პირადი მოხმარების მიზნით შენახვის სამპუნქტიანი ექსკალაციის პროცესის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ დაკავება, როგორც წესი, პირველადი ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება კანაბისის შენახვა-მოხმარების სამართალდარღვევის ფაქტების დადგენის დროს, შესაძლოა სრულწლოვანმა მიიღოს მხოლოდ გაფრთხილება კანაბისის შენახვის პირველი ფაქტისათვის, ხოლო დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის შემთხვევაში, გაფორმდება საჯარიმო განაცხადი წესრიგის დარღვევის შესახებ. მესამეჯერ დანაშაულის ჩადენა გამოიწვევს პატიმრობას. შემდგომ ჩადენილი ყველა დანაშაული დაისჯება დაკავებით. ვთვლი, რომ ასეთი მიდგომა საქართველოსათვის განვითარების ამ ეტაპზე ყველაზე რაციონალურია.

ასევე საინტერესოა ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის **თურქეთის მიდგომა კანაბისთან** დაკავშირებული სამართალდარღვევების თვალსაზრისით. 2005 წელს მიღებული თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი უშუალოდ აღარ ახდენს კანაბისის მოხმარების ფაქტების კრიმინალიზაციას, მაგრამ ითვალისწინებს 1-2 წლამდე პატიმრობას პირისათვის, ვინც ყიდულობს, ღებულობს ან ინახავს ნარკოტიკს პირადი მოხმარების მიზნით. ამასთან, შესაძლებელია პირის ჩართვა სპეციალურ სარეაბილიტაციო პროგრამაში ან/და პირობითი მსჯავრის მისჯა 3 წლამდე ვადით. პროგრამაში მონაწილეობისაგან თავის არიდების ან პირობითი მსჯავრის დროს აკრძალული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს უფრო მკაცრი სასჯელი.

ლატვიის რესპუბლიკაში კანაბის მცირე ოდენობით შენახვა ან მოხმარება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლის შემთხვევაში პირს დაეკისრება ჯარიმა 110 ევროს ოდენობამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით, თუმცა, ამასთან, სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, მცირე ოდენობის შენახვის შემთხვევაში, პირი ისჯება პატიმრობით 2 წლამდე ვადით, თუ აღნიშნული სამართალდარღვევა განმეორებით მოხდა პირველი შემთხვევიდან ერთი წლის განმავლობაში. მსგავსი მიდგომით ხასიათდება ხორვატიის რესპუბლიკაც, მცირე ოდენობით კანაბისის შენახვა-მოხმარების პირველი ფაქტი, ჩვეულებრივ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებულია 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა[100].

როგორც ვხედავთ, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა თითქმის არაფრით განსხვავდება ევროპული სახელმწიფოების ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისაგან. ეს ლოგიკურიცაა, რადგან იგი იქმნებოდა ნარკოტიკებთან დაკავშირებით ევროკავშირის საკანონმდებლო კომისიის ცნობილი ექსპერტის ბერნარდ ლერუას უშუალო ხელმძღვანელობით. ამ კანონის შემუშავებაში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული ცნობილი იურისტი ბატონი დავით სულაქველიძე და ამ სტატიის ავტორი. ხაზს ვუსვამ დიდი ქართველი იურისტის ბატონი **გიორგი ტყეშელიაძის** დაუღალავ შრომას ამ კანონის შემუშავებაში. სტატიას ვუძღვნი და ქედს ვიხრი მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

---

100 ვიქტორია ბუნტური, „კანაბიზის საკანონმდებლო დარეგულირება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მაგალითით", უნივერსიტეტთაშორისი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ., 2014. გვ. 60-67.

სამედიცინო თვალსაზრისი ნარკოტიკების მოხმარების ფიზიოლოგიურ ეფექტს თან ახლავს სამი ძირითადი ელემენტი:

ტოლერანტობა არის ერთი და იმავე ნარკოტიკის სისტემატური გამოყენების შედეგად ეფექტის შემცირება. მომხმარებელი იძულებულია საჭირო ეფექტის მისაღებად დოზა გაზარდოს ან გადავიდეს უფრო ძლიერი სახის ნარკოტიკზე. ბევრი ნარკოტიკის მომხმარებელი ამსტინენციის ეფექტის მისაღებად ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებას კომბინირებულად იღებს, რაც უაღრესად საშიშია ორგანიზმისათვის.

ფიზიკური დამოკიდებულება – ეს არის ის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რაც ყალიბდება ნარკოტიკის სისტემატური გამოყენების შედეგად. სხეულში ტკივილის შეგრძნების გასაქრობად მომხმარებელი იძულებულია გააგრძელოს ნარკოტიკის მიღება.

ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ნიშნავს ერთგვარი ჩვევის ჩამოყალიბებას. მომხმარებელს უჩნდება ემოციური მოთხოვნილება ნარკოტიკის კვლავ მიღებისათვის.

პირველი ორი დამახასიათებელია კოკაინის, ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებლებისათვის, ხოლო მარიხუანას მოხმარება იწვევს ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას.

„კონტექსტიდან ამოვარდნილ სიტყვებს აწვდიან მოსახლეობას და ეუბნებიან მარიხუანა, კარგია, რომ, რომელიღაც ქვეყანაში მას სამკურნალოდ გამოიყენებენ. დიახ, ზოგ შემთხვევაში სამკურნალოდ გამოიყენებენ, მაგრამ პრობლემურ და არა ჯანმრთელ ადამიანებში," – აცხადებს გური მენაბდიშვილი „ფორტუნას" ნარკოლოგიური ბიუროს ნარკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი.

მისი თქმით, „მარიხუანა მოქმედებს ჯანმრთელი ადამიანის თავის ტვინის უჯრედებზე, მეხსიერებაზე, პიროვნების ქცევის ცვლილებებზე და შესაძლებელია, მან ძლიერი კვალი დაამჩნიოს ადამიანის ფსიქიკას."

ყველაზე მთავარი თემა არის ის, აგრძელებს იგი: „მარიხუანა არის ფსიქოაქტიური ნივთიერება, იწვევს ადამიანის თრობას. შეიძლება ბევრმა თქვას, რომ თრობას ალკოჰოლიც იწვევს, რა თქმა უნდა, მე არც ალკოჰოლის პროპაგანდას არ ვეწევი და ალკოჰოლიც მავნებელია, მაგრამ მარიხუანა პირდაპირ მოქმედებს ადამიანის თავის ტვინის უჯრედებზე, მეხსიერებაზე და შესაძლებელია, ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს არა მარტო მეხსიერებაზე, არამედ ადამიანის ფსიქიკაზეც. ხშირად იწვევს გაღიზიანებას, აღგზნებას და სხვადასხვა ფსიქიკურ პრობლემს.

არის მეორე საკითხიც: როდესაც აპელირებს ადამიანი, რომ მე ვიყავი მარიხუანას მომხმარებელი, ვეწეოდი, მაგრამ ჩემს შვილებს არანაირი პრობლემა არ აქვთ – ეს არ არის გამართლება. მხოლოდ ფიზიკურ ზიანზე ნუ ვისაუბრებთ, რა ფსიქიკური პრობლემა ექნება ბავშვს გარდატეხის ასაკში და ზრდასრულობის პერიოდში, ეს არავინ იცის." [101]

სტატიის ავტორი თვლის, რომ სიცხადის შეტანაა საჭირო ე.წ **„მსუბუქი ნარკოტიკის"** ტერმინოლოგიაში, ეს განსაკუთრებით ეხება „მარიხუანას". ევროპაში ამჟამად იგი „რევიზიას" განიცდის, რადგან ხანგრძლივი სელექციის პირობებში გამოყვანილი მარიხუანას ახალ ჯიშებში, ადრინდელთან შედარებით, გაცილებით მაღალია ნარკოტიკული თრობის განმაპირობებელი მთავარი ელემენტის THC-ს (ტეტრა ჰიდრო კანაბინოლის) შემცველობა, რომელიც თითქმის ე.წ. **„მძიმე ნარკოტიკის"** ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების ტოლფას ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. აქვე მინდა დავამატო, რომ, როდესაც მარიხუანას მომხმარებლები მისი გამოყენებისას უკვე ვეღარ ღებულობენ „ნაცად" სიამოვნებას, მას ფსიქოტროპულ ნივთიერებებს ამატებენ, რაც ზოგჯერ ფატალური შედეგით მთავრდება.

კონვენციათა ვალდებულებები. პრაქტიკა და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის მსოფლიო ისტორია მიგვანიშნებს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებით ფრთხილი მიდგომაა საჭირო. საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით განვიხილოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონვენციების მოთხოვნები. 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა, ეროვნული კონსტიტუციური

---

101 გური მენაბდიშვილი,მარიხუანა ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს:საჭიროა თუ არა დეკრიმინალიზაცია, http://fortuna.ge/marikhuana-fsiqologiur-damokidebulebas-iwvevs-narkologi/.

დებულებებისა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა კანონდარღვევად ცნონ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შენახვა, შეძენა და კულტივირება[102].

განსაკუთრებით საინტერესოა კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი. თავიანთი კონსტიტუციური დებულებებისა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით ყოველი მხარე იღებს ზომებს, რომლებიც საჭირო იქნება, რათა ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების განზრახ შენახვა, შეძენა, კულტივირება პირადი გამოყენებისათვის 1961 წლის კონვენციის, ასევე მისი შესწორების ან 1971 წლის დებულების დარღვევით, თავიანთი კანონმდებლობის თანახმად აღიარებულ იქნეს კანონდარღვევად.

იმავე 1988 წლის კონვენციის მოთხოვნათა თანახმად სახელმწიფოებმა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას უნდა დაუპირისპირონ რეპრესიული მეთოდები, სამედიცინო და პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ამიტომ სახელმწიფოთა საკანონმდებლო ხელისუფლებამ კონვენციის ეს და სხვა მოთხოვნები მუდმივად უნდა გაითვალისწინონ თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისი ლეგალიზება ნარკობიზნესს ახალ ბიძგს მისცემს, გაძლიერდება მისი მასშტაბები, დაიწყება კონკურენცია შიდა ბაზარზე, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების „იმპორტი – კონტრაბანდა“ ქვეყნის ფარგლებს გარედან და რაც ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ყველაზე უფრო საგანგაშოა, დაიწყება ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების დათესვა, მოყვანა, კულტივირება. ე.ი. შეიქმნება ნარკოტიკების წარმოების შიდა ბაზარი. იგი ახალი იმპულსი იქნება იმისა, რომ საქართველო ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთი ცენტრი გახდეს რეგიონში. იმუშავებს ცნობილი ფორმულა: **ნარკოტიკები + ლეგალიზაცია=ბაზარს**.[103]

ჩვენი მოსაზრებების ნათელი დასტურია ბოლო პერიოდში აღძრული სისხლის სამართლის საქმეები მარიხუანას თესლების უკანონო შენახვისა და გაყიდვის ფაქტებზე და როგორც ჩემთვის ცნობილია, რამდენიმე საქმე განსახილველად სასამართლოშია წარდგენილი.

საქართველოში ნარკომანთა რიცხვის საგრძნობი ზრდა და მცენარეული სახის ნარკოტიკების შიდა ბაზრის ჩამოყალიბება, ქვეყანას საერთაშორისო ნარკობიზნესის საქმიანობის არენად გადააქცევს და დაიწყება დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი თანხების ლეგალიზება (ფულის გათეთრება), რომელიც ქვეყნისათვის პოლიტიკურად წამგებიანი იქნება.

აი, რას ამბობენ ცნობილი ამერიკელი მეცნიერები რენსელაერ ლი III და სკოტ მაგდონალდი: „მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნების ინტერესში შედის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში განვითარდეს სტაბილური და კანონიერი საზოგადოებები. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ეკონომიკურად ღარიბი, მაგრამ ნარკოტიკებით მდიდარი ქვეყნებია და ნარკოტიკების ტრანზიტისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ, რაც ნარკოდილერებსა და სხვა კრიმინალურ ელემენტებს მათში მყარად დამკვიდრების კარგ შანსს აძლევს.

ქვეყნები, სადაც ხშირად მთავრობის შემადგენლობაში დამნაშავენიც საქმიანობენ, ვერ დაამყარებენ ახალ პოსტკომუნისტურ წყობას ევრაზიულ სივრცეში, ან ამის მისაღწევად უაღრესად დიდი დრო და მცდელობა დასჭირდებათ.

თუკი ეს ქვეყნები, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით არ შეეცდებიან წინ აღუდგნენ ამ პროცესებს, ორგანიზებული დანაშაულის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება არარსებულ სიმაღლეს მიაღწევს“.[104]

---

102 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ვენა. 1988. 18 დეკემბერი.

103 Report of the International Narcotics Control Board for 1993,Viena.

104 Jeffrey Rensselaer W. Lee III end Scott McDonald-Drags in Post-Communist Societies. Boulder San Francisco-Oxford. 1994.

ფასების დილემა. ნარკოტიკის ლეგალიზების შემთხვევაში იბადება კითხვა: სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა რა ფასებში უნდა მიჰყიდოს ნარკოტიკული ნივთიერება მომხმარებელს? აი, ახალი თავსატეხი პრობლემა.

თუ გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე ბევრად მაღალი იქნება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი არაკანონიერ – შავ ბაზარს მიმართავს. ასეთი მდგომარეობა შექმნილია ბევრ ქვეყანაში თამბაქოსთან დაკავშირებით, სადაც კონტრაბანდული სიგარეტი თანაარსებობს სიგარეტის კანონიერ ბაზართან. ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ოპიუმის ნედლეულთან დაკავშირებით შორეული აღმოსავლეთის კოლონიებში პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის დროის მონაკვეთში, როდესაც საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები სახელმწიფო ორგანოებში მართვის შესაბამის სტრუქტურებს ინარჩუნებდნენ, რათა მაქსიმალური მოგება ენახათ. მართვის ეს ორგანო თავის ოპიუმს შედარებით მაღალ ფასში ყიდდა. ჰონკონგში კი ოპიუმის არაკანონიერი ფართო შავი ბაზარი არსებობდა ოფიციალურის გვერდით[105].

მაგრამ, თუ სახელმწიფო ორგანო თავის ფასს არალეგალური ბაზრის ფასზე დააბალანსებს – დაიყვანს, მაშინ ვაჭრებს არაფრად უღირთ თავიანთი ფასები შეცვალონ, რადგანაც ამ სფეროში მოგება მათ ფართო მოქმედების თავისუფლებას აძლევს. ნაკლებ სარწმუნოა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანო, ვითომდა საკმაოდ დაბალ გასაყიდ ფასს დააწესებდა, რათა ვაჭრებს ვერ შესძლებოდათ ნარკოტიკების მაღალ ფასში გაყიდვა. გასათვალისწინებელია, რომ ფასების ასეთი შემცირებით სახელმწიფომ შეიძლება მომხმარებელთა მკვეთრი მატება გამოიწვიოს, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ზონებში მაინც.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ შავი ბაზარის გაუქმებით ნარკოტიკის ფასები დაიწევს, უტოპიაა! ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა ერთდროულად დაიკავებს ამ პოზიციას მთელს მსოფლიოში.

ცნობილია, რომ მოსახლეობაში ნარკოტიკების გავრცელების მასშტაბები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იაფად და ადვილად იშოვება იგი ქვეყანაში. მაგალითი: ისეთი ლიბერალური რეპრესიების ქვეყანაში, როგორიც ჰოლანდიაა, 1 გრ კოკაინი 50-80 დოლარი ღირს; შედარებით ძლიერი რეპრესიების ქვეყანაში – გერმანიაში იგი 140 დოლარად ფასობს; საქართველოში კი 1 გრ კოკაინისა და ჰეროინის ფასი შესაბამისად 150-200 დოლარია. ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საქართველოში დღეს ნარკოტიკების სფეროში არსებული კონტროლის სისტემა საკმაოდ დაბალანსებულია, ამიტომ ქვეყანაში მისი შემოტანა გაძნელებულია, თუმცა ნარკოტიკების მომხმარებლებმა სხვადასხვა ხერხს მიმართეს, პრიორიტეტი მიანიჭეს სააფთიაქო ნარკომანის და მისი წარმოების შიდა ბაზარს. ჩქარი ტემპებით იზრდება მარიხუანას მომხმარებელთა რაოდენობა ქვეყანაში, რასაც ნარკოლოგიური სამსახურის მონაცემებიც მიუთითებს (ზრდა 15-20%). ასევე შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ქვეყნის გარშემო არსებული ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარება, როდესაც ვერ ვაკონტროლებთ ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს (ოკუპირებულ ტერიტორიებს). ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის კანონმდებლობა, რომელმაც ქვეყნის ნარკოტიზაციისაგან დაცვის ინსტრუმენტის როლი უნდა შეასრულოს (საინტერესო იქნებოდა კვიპროსის მაგალითის შესწავლა, რომელმაც თავისი მძიმე გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით ნარკოტიკებისაგან თავის დაცვის ინსტრუმენტად აირჩია რეპრესიული ნარკოკანონმდებლობა, რომელსაც წარმატებით იყენებენ, როგორც ამის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული).

კრიმინოლოგიური თვალსაზრისი. ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლატენტურობის ცნებას, რადგან ამ სახის კანონდარღვევათა უდიდესი ნაწილი, გარკვეული მიზეზების გამო, არ ხვდება ოფიციალურ აღრიცხვაზე. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში არც დამნაშავეს, ნარკოდილერს და არც მსხვერპლს, ნარკოტიკების მომხმარებელს არ აწყობს დანაშაულის გახსნა. უცხოეთის ქვეყნებში, მათი მაღალპროფესიული დონისა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების გამო ლატენტური გამოუვლენელი დანაშაულის რიცხვი ნარკომანიისა და ნარკობიზნესის სფეროში შეადგენს 1:5, 8. ეს მაჩვენებელი ჩვენთან გაცილებით მაღალია და თანაფარდობა, 1-15 ან 1-20 შეადგენს.

105 Jonathan Spence. "Opium Smoking in Ch"ing China" in, ed. Frederic Wakeman, Jr., and Carolyn Grant, Conflict and Control in Late Imperial China(Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1975).

ამის მიზეზი მრავალია, რომელთა შორის გამოვყოფთ რამდენიმეს:

– პირველი ჯგუფი, რომელთა შესახებ შესაბამის ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ოფიციალურ პირებს ინფორმაცია არა აქვთ;

– მეორე ჯგუფი, როდესაც დანაშაულის ფაქტი სახეზეა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო (პოლიტიკური, ეკონომიკური, კარიერისტული და სხვ.) ამ დანაშაულის გამომვლენი პირი მას, როგორც დანაშაულს არ აღიქვამს (დანაშაულის დამალვა სახელმწიფო აღრიცხვიდან);

– მესამე ჯგუფი – დანაშაულები, რომლებიც აღრიცხვაზე არ არის აყვანილი შესაბამისი თანამშრომლების არასათანადო პროფესიონალიზმის გამო. ისინი დანაშაულს არ აძლევენ სწორ კვალიფიკაციას.[106]

დანაშაულის ლატენტურობაზე ასეთი აქცენტი გამომდინარეობს იქიდან, რომ მისი რეალური რიცხოვნობის, სტრუქტურის, დინამიკისა და სხვა მახასიათებლების ზუსტი ცოდნა აუცილებელია შესაბამისი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ზომების განსახორციელებლად, რომელიც თავისთავად მოიცავს იმ ეკონომიკურ-ფინანსურ გათვლებსაც, რაც საჭიროა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის, ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამედიცინო მკურნალობისა და სოციალუარი რეაბილიტაციისათვის.

ნარკომანია და დანაშაული. პრაქტიკა, არსებული ინფორმაციები, სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები მიუთითებს ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და დამნაშავეობის ურთიერთკავშირზე[107]. რამდენიმე წლის წინ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, თუ როგორ გამოიყურება ნარკოტიკული თრობის ქვეშ ჩადენილი დანაშაულის სტრუქტურა:

– ნარკოტიკების მოხმარება – 51,9%;
– მკვლელობა – 2,8%;
– გაუპატიურება – 4,7%;
– ქონებრივი დანაშაული – 32,8%;
– სხვა დანაშაული – 7,8%.

ამ მონაცემებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მაღალი დონე 32,8% და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება დამოკიდებულია ფულად სახსრებზე, ხოლო მომხმარებელთა უმრავლესობა ჩატარებული კვლევების თანახმად უმუშევარია, იგი მუდმივად ცდილობს მოიძიოს ფული, ძვირფასეულობა, რათა შეიძინოს ე.წ. „წამალი". ისინი განსაკუთრებით საშიშნი არიან ნარკოტიკული აბსტინენციის ე.წ. „ლომკების" დროს. საკუთარი ოჯახის ეკონომიურად და მორალურად განადგურების შემდგომ ნარკომანებისთვის ფულისა და ნარკოტიკის შოვნის ერთ-ერთი გზა უკვე დანაშაულის ჩადენაა, ძირითადად ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა.

ცალკე უნდა გამოვყოთ ნარკოტიკული თრობის ქვეშ ავტომანქანის მართვა. აქ მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, რადგან იგი მაღალი ლატენტურობით გამოირჩევა და ბევრი ასეთი შემთხვევა რეაგირების გარეშე რჩება. ასე მაგალითად, გასული წლის 27 დეკემბერს მოქალაქე ჯაფარიძემ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე გადაკვეთა ორმხრივი სავალი ზოლი, დააზიანა რამდენიმე ავტომანქანა, დაეჯახა საპირისპიროდ მიმავალ ტაქსს, რომელშიც მჯდომი ახალგაზრდა გოგონა გარდაიცვალა. ქალაქში ხშირია შემთხვევები, როდესაც ცენტრალურ მაგისტრალზე, როგორ ეჯიბრებიან სისწრაფეში ავტომანქანის ახალგაზრდა მძღოლები, რასაც სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის ვერ აფიქსირებენ. ალბათ საჭიროა ელექტროული კონტროლის მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენება, საზოგადოების მეტი ჩართულობა – აქტიურობა ამ საკითხებზე.

106 Алексеев А.И., Роша А.Н.,Латентная преступность и эфективность деятельности правоохранительных органов. Москва,1973г.

107 Duane C. McBride & Clyde B. McCoy, The Drugs-Crime Relationship: An Analytical Framework, 73 PRISON J. 257, 271 (1993), p7 www.udclawreview.com/wp-content/.../Woods-Article.pdf , xelmisawvdomi 2015 wlis dekemberSi)

აღმზრდელობითი თვალსაზრისი. ახალგაზრდობას უცილობლად სჭირდება მოსაზრებების, მსოფლმხედველობის სწორი ორიენტირი, აგებული განსაზღვრულ პრინციპებზე.

სწორედ ახალგაზრდობის აღზრდაა ის მძლავრი მექანიზმი, რომელიც საზოგადოებას დაიცავს კანონის ნორმების გადახრისაგან და ამიტომაც აქვს სწორ აღზრდას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიიდან ცნობილია, რომ მოზარდი თაობის დიდი კანონმორჩილი ნაწილი, მათ შორის არასრულწლოვნებიც, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ ნარკოტიკებისაგან. ნარკოტიკების ლეგალიზება ან კანონის ნორმების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია ბევრ ახალგაზრდას მათი მოხმარებისაკენ უბიძგებს, რასაც ისინი სხვა დროს არ გააკეთებდნენ. ლეგალიზების შემთხვევაში არ იქნება არავითარი ბარიერი და პიროვნების ფორმირებისას დაშვებული შეცდომების გამო (ოჯახში აღზრდის არასათანადო პირობები, სკოლაში აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით, ასევე სასწავლებელში არაფორმალური ჯგუფების უარყოფითი ზეგავლენა პიროვნებებზე, სათანადო სოციალური კონტროლის არარსებობა, თავისუფალი დროის არასწორი გამოყენება და სხვ.), ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების – არასრულწლოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზრდება.

ამიტომ, გარდა სხვა შემაკავებელი ფაქტორებისა, ქვეყნის მოქალაქეებმა ადრეული წლებიდანვე უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფოში ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

ჩვენი აზრით, დადგა დრო საქართველოს სკოლების დაწყებით კლასებში დაიწყოს ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ გაკვეთილების ჩატარება, როგორც ეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ხდება. არის მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზება (მარიხუანა) ხელს შეუწყობს ნარკომანების გამოვლენას და მათ „მოვლას". ჩვენ კი დავძენთ, რომ ამას აუცილებლად მოჰყვება ათასობით ახალგაზრდა – არასრულწლოვნის ნარკომანიაში ჩართვა. ვერავინ განსაზღვრავს ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბებს მისი ლეგალიზების შემთხვევაში. ქართველი მეცნიერის პროფესორ ა. გაბიანის გამოკვლევებით, რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) მოხმარების შემდეგ ყოველი მეხუთე-მეექვსე პირი ძლიერ ნარკოტიკზე გადადის (ოპიუმი, ჰეროინი, კოკაინი და ა.შ.).[108]

სწორედ ნარკოტიკების თემაზე საუბრისას უნდა ვიყოთ უაღრესად ფრთხილი, დაკვირვებული. ხმაურიანი განცხადებები კი ნარკომანიის ავადმყოფობად და სოციალურ მოვლენად გამოცხადების შესახებ ჩვენი სერიოზული ჩანაფიქრის საგანი უნდა გახდეს. ამით უსათუოდ ვავნებთ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, ჩვენს მომავალს. როგორც აშშ ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯონ ჰეისლიპმა განაცხადა: „ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ნარკომანიის ეპიდემიისა არის მოწოდებები ნარკოტიკებისა და მისი მოხმარების ლეგალიზების შესახებ, და როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს სახელმწიფოთა ხელისუფალნი არაადეკვატურნი არიან ასეთი წამოწყებების მიმართ, რაც აშკარად ჩანს ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორიის შესწავლიდან.[109]

რა თქმა უნდა, ბატონი ჯონ ჰეისლიპი და სხვა საერთაშორისო ექსპერტები ეყრდნობიან საერთაშორისო კონვენციებს და მის უმთავრეს დებულებებს. აი, რას გვეუბნება ზემოთ განხილული 1988 წლის კონვენციის, **მუხლი მე-3 „სამართალდარღვევები და სანქციები", ქვეპუნქტი 1. ა) ყოველი მხარე იღებს ისეთ ზომებს, რომ თავისი კანონმდებლობის თანახმად სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები: გ)სხვისი საჯარო წაქეზება ან გამოწვევა ნებისმიერი საშუალებებით. აღნიშნული მუხლით მიჩნეული ნებისმიერი სამართალდარღვევის ჩადენაზე ან ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო გამოყენებაზე.**

დიახ, ნარკოტიკების მოხმარება ძვირად უჯდება საზოგადოებას, ეკონომიკური ინვესტიციები, სამედიცინო და სოციალურ სფეროში გაწეული ხარჯები, შესაბამისი პროგრამების დაფინანსება და ა.შ. ლეგალიზების შემდეგ ეს ხარჯები გაცილებით გაიზრდება, რადგან ქვეყანაში აუცილებლად შესაქმნელი იქნება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების კონტროლის

---

108 ა.ზურაბაშვილი, ა.გაბიანი, გ.ლეავა, გ.ნანეიშვილი, მავნე ჩვევებიდან მძიმე დაავადებამდე, თბ., 1992წ.

109 Нормативная конференция стран Содружества Независимых Государств по правоохранительной борьбе и кон-тролю над наркотиками и химическими веществами. Отчет конференции. Выступление Дж. Хейслипа: Мега- тен-денции. Зальцбург. Австрия. 11-14 октября, 1994 года.

მექანიზმები, რაც ძვირად ღირებული პროცესია. არის ჩვენი სახელმწიფო ამისათვის მზად?!

სახელმწიფო ვერ გაექცევა ვალდებულებებს თავისი მოქალაქეების წინაშე. თუ მისთვის ძნელია ყველა საშუალებით აღკვეთოს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხის გასამარტივებლად მისი მოხმარება დაუშვას. პირიქით, იგი უნდა წავიდეს იმავე ძნელი გზით და სრულყოს თავისი მოქმედება ამ მიმართებით.

რეზიუმე

საქართველოს განვითარების ამ გარდამავალ ეტაპზე, როდესაც:

– სამართალდამცავი და სხვა სპეციალური სამსახურები ვერ აკონტროლებენ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის დიდ ნაწილს და მათ შორის, სასაზღვრო სივრცის დიდ ზოლს;

– შენარჩუნებულია ნარკომანთა რიგების ზრდის მყარი ტენდენცია, მუდმივად ხდება მათი გაახალგაზრდავება, მყარად ყალიბდება ქალთა ნარკომანიის პრობლემა;

– გამოკვეთილია ნარკომანიისა და დანაშაულის ურთიერთკავშირი; განსაკუთრებით მოქალაქეთა პირადი საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში;

– ჯერჯერობით ვერ ხერხდება როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე ნარკომანთა სამედიცინო მკურნალობის და სოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო დაფინანსების მოძიება, ხოლო სახელმწიფოს არ გააჩნია ყველა ნარკომანიით დაავადებული მოქალაქეის მკურნალობისათვის საჭირო თანხები;

– სრულად არ არის ჩამოყალიბებული ნარკომანებთან და ნარკოტიკების მომხმარებლებთან მუშაობის სამედიცინო, სოციალური და რეპრესიული მეთოდების კონტროლის სისტემა;

– მკაფიოდ არ არის გამიჯნული ამ კონტინგენტთან მომუშავე უწყებათა და სამსახურების კომპეტენცია;

– გამოიკვეთა და შესამჩნევად გამწვავდა სააფთიაქო სისტემიდან და ინტერნეტ სივრციდან წამოსული ფსიქო-ნარკოტიკულ ნივთიერებათა გავრცელების პრობლემა. სერიოზულ სრულყოფას მოითხოვს მათი გაკონტროლების მექანიზმები;

არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვის ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელთა სისტემის ზედმეტი ლიბერალიზაცია. თუმცა, ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით სანქციის ნაწილში, შეიძლება ფიქრი ამ ქმედების ტრადიციული სისხლის სამართლის ჩარჩოებიდან გაყვანის შესახებ, სანქციის იდეის გამორიცხვის გარეშე: ქმედება აღარ იქნება დანაშაულებრივი, მაგრამ დაისჯება ადმინისტრაციულად ან სხვა წესით.

Resume

Development of Georgia during this transition when:

- Law enforcement and other agencies are unable to control large parts of so called occupied territories, including the border line at the above mentioned area;

- The trend of continuous growth is maintained regarding addicts, There is also a problem of continuously rejuvenation, we are also observing how a drug problem is forming in female population;

- Highlights the relationship between drug abuse and crime; especially when it comes to private property of citizens and protection of public order in this area;

- There is no identified and specific medical treatment of drug addicts and social rehabilitation at a national and international level. The issue of required funding regarding above mention treatment is also unclear, The state does not have enough or sufficient treatment means for all drug-addicted individuals;

- The medical and social means of working with drug addicts are not outlined, also we do not have effective system which is able to control repressive methods ;

- There is no clear separation of duties and responsibilities of government bodies and agencies who are

საგადასახადო სამართალი

1. დამოუკიდებელი საქართველოს საგადასახადო სისტემისა და კანონმდებლობის შექმნა (1990-1991)

ირაკლი გაბისონია,
სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
იგორ კვესელავა, პროფესორი
სტუ-ს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

გადასახადების წარმოშობას უძველესი ისტორია აქვს და ცნება „გადასახადი" თავისი ფესვებით საუკუნეთა სიღრმიდან მოდის. გადასახადები შემოიღეს ცივილიზაციათა გარიჟრაჟზე, როდესაც მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაჩნდა. ფილოსოფოსები გადასახადებს განმარტავენ, როგორც საზოგადოებისათვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას.

საგადასახადო სისტემა შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა, მაშინ, როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ბენჟამენ ფრანკლინი ამბობდა: „ყველა ვალდებულია, რომ გადასახადი გადაიხადოს და მერე თუნდაც მოკვდეს". თავად კ. მარქსი აღნიშნავდა რა გადასახადების მნიშვნელობას სახელმწიფოსთვის, ადარებდა მას დედის ძუძუს და ამბობდა: „გადასახადი – ეს არის მთავრობის მასაზრდოებელი დედის ძუძუ... გადასახადი – ეს არის საკუთრებასთან, ოჯახთან და რელიგიასთან ერთად მეოთხე ღმერთი".

გადასახადების მიმართ არსებობდა რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად, თომა აკვინელი გადასახადებს განმარტავდა, როგორც: „ქვეყნის ნებადართულ ძარცვას". თუმცა გადიოდა დრო, იცვლებოდნენ ხელისუფლებები და მთავრობები. ერთი რამ კი, რასაც გადასახადები ერქვა, უდავო რჩებოდა. გადასახადები ყველა მათგანს სჭირდებოდა და მის გარეშე ვერც ერთი ვერ იარსებებდა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორიის მანძილზე გადასახადები აუცილებელი ატრიბუტი იყო ქართული სახელმწიფოსი. ყველაფერს, რაც საქართველოში სახელმწიფოსთვის გადამხდელს უნდა გაეღო, ეწოდებოდა „გამოსავალი". შუა საუკუნეების საქართველოში გადასახადების ძირითად გადამხდელებს წარმოადგენდნენ გლეხები. გადასახადები დაწესებული იყო აგრეთვე ქვეყანაში საქონლის შემოტანაზე.

1918-1921 წლებში, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მოკლე დროის მანძილზე სახელმწიფომ ავტონომიური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ვერ მოასწრო. გადასახადები ქვეყანაში ძირითადად მეფის რუსეთის დროს დამკვიდრებული საგადასახადო სისტემებისა და წესების მიხედვით იკრიბებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგადასახადო სისტემა მთლიანად იმეორებდა სსრკ-ის ფარგლებში დადგენილ გადასახადებს. საბჭოთა საქართველოში ბიუჯეტის შემოსავლების 90%-ზე მეტს შეადგენდა საწარმოთა გადასახადები. ამ უკანასკნელთა წყაროები მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი წმინდა შემოსავალი იყო.

მას შემდეგ, რაც დაიწყო საბჭოთა კავშირში კომუნისტური სისტემის დაშლის პერიოდი, საქართველოში წინა პლანზე გამოვიდა ეროვნული მოძრაობა, რომლის მთავარ ამოცანასაც წარმოადგენდა ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის აღდგენა. 80-იანი წლების მეორე ნახევარში, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გარკვეულწილად უკანა პლანზე იყო გადაწეული. ეს ობიექტური რეალობით იყო გამოწვეული. კერძოდ, საქართველოს მოსახლეობას მაშინ არ აწუხებდა სიღარიბის პრობლემა და ურიგოდ არც ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გამოიყურებოდა. ფაქტობრივად მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო ეტაპი, როდესაც უნდა მომხდარიყო გეგმური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლება. დღეისათვის ზოგიერთი მეცნიერი ამ პროცესს უწოდებს „რეფელუციას" (refolution), რომელიც წარმოადგენდა რევოლუციისა და რეფორმის კომბინაციას. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად საქართველოში გამარჯვება მოიპოვა ეროვნულმა ძალებმა. კერძოდ, პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და არსებობა შეწყვიტა კომუნისტურმა მმართველობამ.

ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროში უნდა განეხორციელებინათ ძირეული რეფორმები. სახელდობრ, ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის მოშლის პირობებში ქვეყანაში უნდა დაწყებულიყო თანდათანობით გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე.

ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობის კურსი, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო გარდამავალი პერიოდის გზით, ხაზგასასმელია ის, რომ არ იყო განსაზღვრული დროში ამ პერიოდის ხანგრძლივობაც, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ლავირებითა და მოქნილი პოლიტიკით მოემზადებინა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები[121].

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების ეკონომიკური სტრატეგია არ ითვალისწინებდა სოციალიზმის ან კაპიტალიზმის კურსს. ასახული გეგმით უნდა მომხდარიყო ე.წ. კონვერგენციის თეორიის ამოქმედება, რაც ძალზედ არ აწყობდა ჯერ კიდევ ადგილებზე ხელისუფლებაში მყოფ და მძლავრი ეკონომიკური ბერკეტების მფლობელ კომუნისტურ ბიუროკრატიას.

თავის პირველ გამოსვლაში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ რესპუბლიკაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია შეაფასა, როგორც „აშკარა ეკონომიკური კრიზისის პირას მდგომი“[122]. მისივე თქმით, კრიზისიდან გამოსავალი შესაძლებელი იყო მხოლოდ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებსა და ცენტრალურ დაგეგმარებაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟითა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლით.

ეროვნული ხელისუფლების მებაირახტრის თქმით, რესურსები უნდა გაენაწილებინა ხალხს და არა ბიუროკრატიას, სახელმწიფო კონტროლი განაწილებისაზე და ფასებისადმი არ უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი ადმინისტრირების ძველ მეთოდზე, რაც მთავარია, საბაზრო ეკონომიკა უშუალოდ უნდა დაყრდნობოდა კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას.

იმდროინდელი ქვეყნის პირველი პირი არსებული მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო მოითხოვდა, საქართველოდან ღვინის, ხილისა და სხვადასხვა პროდუქტის უკონტროლოდ და დიდი რაოდენობით გაზიდვის აკრძალვას[123].

ხელისუფლება ცდილობდა შეემზადებინა ქვეყნის მოსახლეობა ეკონომიკური რეფორმებისათვის. მთავრობის ამოცანა იყო აღნიშნული ცვლილებები, რაც შეიძლებოდა ნაკლები დანახარჯებით და უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო.

1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი: „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა დაფუძნებულიყო საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობების პრინციპზე. ეს პროცესი კი უნდა წარმართულიყო „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდების გამოცხადების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

ამ კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკაში კანონდებოდა კერძო საკუთრება. იმავდროულად იქმნებოდა რესპუბლიკის ეკონომიკური საზღვრები, საბაჟო სამსახური და განისაზღვრებოდა საბაჟო პოლიტიკა. სახელმწიფოს ხელი უნდა შეეწყო ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რათა მათ განეხორციელებინათ პირდაპირი კავშირები უცხოეთის ფირმებთან.

იმავე კანონის თანახმად, საქართველოში იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობა აგებული უნდა ყოფილიყო თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებზე, იქვე იყო მითითებული საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ.

---

121 ი. კვესელავა საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I,თბ., 2004, გვ 26.
122 საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ.I, თბ., 2011, გვ 409.
123 იქვე.

მუშავდებოდა საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული გადასახადების, მოსაკრებლებისა და სავალდებულო გადასახდელებისაგან[124].

საწარმოთა ეკონომიკური ურთიერთობების, თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით 1991 წლის ივლისში უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი: „სამეურნეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ", რომელშიც განსაზღვრული იყო სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები.

ამ კანონით ფაქტობრივად პირველად საქართველოში დგინდებოდა მეწარმის უფლებამოვალეობები, პასუხისმგებლობა და გარანტიები. მასში ნათქვამი იყო, რომ მეწარმის მოვალეობას წარმოადგენს: „გადაიხადოს გადასახადები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით".

მეწარმის შემოსავალი იბეგრებოდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

იმავდროულად კანონი მეწარმეს ანიჭებდა დამოუკიდებლობას თავის საქმიანობაში და დაუშვებლად ცნობდა მის საქმიანობაში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი და სხვა ორგანოების ჩარევას. ამავე კანონით, განსაზღვრული იყო საწარმოთა ფორმები და სახეები.

საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება უნდა შეემოწმებინა საგადასახადო სამსახურს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი შემოწმების შედეგების საფუძველზე – სამართალდამცავ ორგანოებს[125].

იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა კანონი „დასაქმების შესახებ", რომელშიც განმარტებული იყო აგრეთვე უმუშევრის სტატუსი და მისი სოციალური დაცვის გარანტიები[126].

საჭირო იყო კარდინალური ცვლილებები საგადასახადო სფეროში, ვინაიდან საქართველოში მოქმედებდა ფაქტობრივად საბჭოთა საგადასახადო სისტემა, ამიტომ, ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ კანონებს უნდა მოჰყოლოდა და კიდევაც მოჰყვა კანონი „საგადასახადო სისტემების ზოგადი საფუძვლების შესახებ", რომლითაც უზრუნველყოფილი ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების თავმოყრა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობა და სამეურნეო საქმიანობის რეგულირება.

კანონის I თავში თქმული იყო, რომ განისაზღვრებოდა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი გადასახადები და სახელმწიფო ბაჟი, გადასახადით დაბეგვრის სუბიექტები და ობიექტები, დაბეგვრაზე შეღავათების მინიჭების საერთო წესი, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლები და გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გადაწყვეტის საერთო წესი. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკაში გადასახადების სისტემა ერთიანად და სავალდებულოდ ცხადდებოდა ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირისათვის.

ამავე კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელთაც საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ტერიტორიულ წყლებში უნდა წარემართათ, ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ საქართველოს რესპუბლიკაში დაწესებული გადასახადები და სახელმწიფო ბაჟი.

კანონის მეორე თავში გაწერილი იყო გადასახადის სახეობები, ობიექტები, გადასახადის მიმღებნი. წესდებოდა: მოგების გადასახადი, აქციზის გადასახადი, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი, მიწის გადასახადი, შენობა-ნაგებობის მფლობელთა გადასახადი, საგზაო ტრანზიტო გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, საკურორტო გადასახადი, ეკოლოგიური გადასახადი, სახელმწიფო ბაჟი.

1. მოგებიდან გადასახადი უნდა გადაეხადათ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც მოგებას მიიღებდნენ კომერციული საქმიანობიდან.

2. აქციზის გადასახადი, როგორც მომხმარებლის მარეგულირებელი არაპირდაპირი გადასახადი უნდა გადაეხადათ იურიდიულ პირებს, მათ მიერ გაყიდული იმ საქონლის ბრუნვიდან, რომელიც იბეგრებოდა აქციზის გადასახადით.

3. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი უნდა გადაეხადათ იურიდიულ პირებს საქონ-

124 საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №6, გვ. 81.
125 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №7, გვ. 25.
126 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №7, გვ. 56.

ლის გაყიდვის ყოველი აქტის შემდეგ მისი მოძრაობის ყოველ სტადიაზე დამატებული ღირებულებიდან.

4. მიწის გადასახადი, დაწესებული გადასახადი უნდა გადაეხადათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც სარგებლობაში გამოეყოთ მიწის ნაკვეთი. მიწის გადასახადი უნდა ჩარიცხულიყო ადგილობრივ ბიუჯეტში.

5. შენობა-ნაგებობის მფლობელთა გადასახადი უნდა გადაეხადათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გარდა, უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც მათ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში ეწეოდნენ რეწვას ან აწყობდნენ საწარმოებს.

შენობა-ნაგებობის მფლობელთა გადასახადი უნდა ჩარიცხულიყო ადგილობრივ ბიუჯეტში.

6. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი უნდა გადაეხადა სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ძრავის სიმძლავრის ერთეულზე ან ტონაზე დაწესებული განაკვეთის მიხედვით. ეს გადასახადი უნდა ჩარიცხულიყო ადგილობრივ ბიუჯეტში.

7. საბაჟო გადასახადი უნდა გადაეხადათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მათი იმ კუთვნილი საქონლის მოცულობის ან ღირებულების მიხედვით, რომელიც ექვემდებარებოდა საბაჟო კონტროლს.

ეს გადასახადი ჩაირიცხებოდა რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

8. სატრანზიტო გადასახადი უნდა გადაეხადათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასვლისას. ეს გადასახადიც უნდა ჩარიცხულიყო რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

9. საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაეხადათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფიზიკურ პირებს განურჩევლად მოქალაქეობრივი კუთვნილებისა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ ყველა წყაროდან მიღებული ფულადი შემოსავლის მიხედვით.

10. ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს შეეძლოთ დაეწესებინათ საკურორტო გადასახდი, რომელიც უნდა გადაეხადათ რესპუბლიკის კურორტებზე 5 დღეზე მეტი ვადით დროებით საცხოვრებლად, დასასვენებლად ან სამკურნალოდ ჩასულ ფიზიკურ პირებს.

ეს გადასახადი უნდა ჩარიცხულიყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ბიუჯეტგარეშე ფონდში და უნდა მოხმარებოდა საკურორტო მეურნეობების შემდგომ განვითარებას.

11. ეკოლოგიური გადასახადი უნდა გადაეხადათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის. ეს თანხები უნდა ჩარიცხულიყო: ა) გარემოს დაცვის ბიუჯეტზე სახელმწიფოს ფონდში; ბ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გარემოს დაცვის ბიუჯეტგარეშე ფონდში.

12. გადასახადს იურიდიული პირები და ფიზიკური პირები რიცხავდნენ: ა) რესპუბლიკის ბიუჯეტში; ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში; გ)ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე ფონდებში.

13. სახელმწიფო ბაჟი დაწესებული განაკვეთის მიხედვით უნდა გადაეხადათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებათა შესრულებისა და საბუთების გადაცემისათვის.

კანონი აწესებდა აგრეთვე შეღავათებს, რაც გულისხმობდა გადასახადებისაგან გათავისუფლების პირობებს.

კანონი III თავი განსაზღვრავდა ორმაგი დაბეგვრის დაუშვებლობას.

IV თავით წესდებოდა კონტროლი საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე, ხოლო V თავით განსაზღვრული იყო გადამხდელთა პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, რომლის მიხედვითაც წესდებოდა: 1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; 2. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა; 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა[127] აღნიშნული კანონი 1992 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო. მა-

127 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №7, გვ. 70.

გრამ საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალების გამო ის მოქმედებაში არ მოსულა.

საქართველოს ხელისუფლება იმავდროულად ცდილობდა მოეზიდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები. ამ მიზნით ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონები: „უცხოური ინვესტიციების შესახებ[128]“ და „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ[129].

ხელისუფლებამ 1991 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა“, რომლის V თავში გამოყოფილი იყო „საგადასახადო სისტემების რეგულირება და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა“. მასში თქმული იყო, რომ რადიკალურად უნდა შეცვლილიყო მოქმედი საგადასახადო და ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების სისტემები.

1992 წელს ექსპერიმენტის სახით, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით იგეგმებოდა შიდა სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება და რეალიზაცია. საგადასახადო განაკვეთები უნდა ჩამოყალიბებულიყო დიფერენცირებული მოგების მოცულობის მიხედვით. წარმოების გაფართოებისა და სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების სტიმულირებისათვის ფართოდ უნდა დანერგილიყო შეღავათების სისტემა. კერძოდ, სოციალური შეღავათები უნდა მისცემოდა მცირე და ახლად შექმნილ საწარმოებს. მნიშვნელოვნად უნდა შემცირებოდა გადასახადის განაკვეთები სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებელ საწარმოებს. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ინვესტიციებსა და ინოვაციებში მიმართული მოგების ნაწილის გათავისუფლება გადასახადებისაგან. 1991 წლის IV კვარტალში ბრუნვის გადასახადით უნდა დაბეგრილიყო დაუფასოებელი ჩაი.

ეტაპობრივად უქმდებოდა უშვილობის გადასახადი. უნდა განსაზღვრულიყო მოქალაქეთა მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების წესით პროდუქციის რეალიზაციის შემოსავლების აღრიცხვისა და გადასახადით დაბეგვრის სისტემა. სტაბილიზაცია უნდა მომხდარიყო და მკაფიოდ გამოკვეთილიყო სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების როლი. უნდა განმეორებულიყო სახელმწიფო გადასახადების მეშვეობით საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების დროული და სრული აკუმულაცია[130]

ხელისუფლების გათვლებით რესპუბლიკის ბიუჯეტი 1991 წლის შემოსავლის ნაწილში განისაზღვრებოდა 5.529, 731 ათასი მანეთით, გასავლის ნაწილში 6.534.118 ათასი მანეთის ოდენობით. ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 1. 009. 387 ათას მანეთს შეადგენდა[131].

არსებული მძიმე სიტუაციებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 1991 წლის აგვისტოში, შემოსავლის ნაწილი განისაზღვრებოდა 6.848.709 ათასი მანეთით, ხოლო გასავლის ნაწილში 8.624. 339 ათასი მანეთით, ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრულ ოდენობას უნდა შეედგინა 1.755. 630 ათასი მანეთი. მაკონტროლებელ ორგანოებს ევალებოდათ უმკაცრესი ზედამხედველობის დაწესება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესავსებად[132].

საქართველოს რესპუბლიკაში აუცილებლად ჩასატარებელი იყო პრივატიზაცია, რომელიც, არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, უაღრესად ფრთხილად უნდა ჩატარებულიყო. ამ მიზნით 1991 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ[133]“, რომელიც სამოქმედოდ შემოღებული უნდა ყოფილიყო 1991 წლის 1 ოქტომბრიდან. თუმცა ამ დოკუმენტსაც ცხოვრებაში გატარება არ ეწერა ზემოაღნიშნული ცნობილი ანტისახელმწიფოებრივი მოვლენების გამო, რომელიც დაიწყო ქვეყანაში შეიარაღებულმა ოპოზიციამ 1991 წლის სექტემბრიდან.

ამრიგად, სისტემური ეკონომიკური კრიზისის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოური პერიოდისაგან მემკვიდრეობით მიღებულმა წარმოების დაბალმა ეფექტიანობამ და პროდუქციის ხარისხის დაბალმა დონემ, კონკურენტუუნარობამ, აგრეთვე ათ-

128 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №7,გვ. 81.
129 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №8, გვ.111.
130 „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 14 ნოემბერი.
131 იქვე.
132 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №8, გვ.84.
133 იქვე, გვ. 97.

ეულობით წლების მანძილზე ჩამოყალიბებულმა სამეურნეო კავშირების რღვევამ და სხვა ეკონომიკურმა მიზეზებმა.

ქვეყანა ფაქტობრივად იმართებოდა საბჭოური დროის საგადასახადო პოლიტიკით, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული: „საგადასახადო სისტემების ზოგადი საფუძვლების შესახებ“ კანონის ამოქმედება შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო ვერ მოხერხდა. თუმცა მთავარი ამოცანა, რომელიც დაკისრებული ჰქონდა მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსულ ძალას, შესრულდა. ეს იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება და ეროვნული თვითიდენტურობის რეალიზაციის ახალი პერსპექტივების დასახვა. რომ არა 1991-1992 წლების მოვლენები, საქართველო ამჟამად განვითარების სულ სხვა ეტაპზე იქნებოდა.

ლიტერატურა

1. ი. კვესელავა, საქართელოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I,თბ., 2004.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, თბ. 2011.
3. საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №6.
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №7.
5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, №8.
6. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 14 ნოემბერი.
7. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990. 28 დეკემბერი.

რეზიუმე

სტატიაში დეტალურადაა განხილული 1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძველის შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკონომიკური სისტემა დაფუძნებული იყო საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობების პრინციპებზე.

ასევე განხილულია 1991 წლის ივლისში უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „სამეურნეო საქმიანობის შესახებ“, რომლითაც ფაქტობრივად პირველად განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები, მეწარმის უფლებამოვალეობები, პასუხისმგებლობა და გარანტიები.

Resume

The article provides a detailed review of the Council of 14 June 1991 adopted a law "On the basis of the economic system of Georgia Republic", according to which Georgian economic system was based on principles of relations of market economy.

Also is discussed, the law passed by the Supreme Council in July 1991 "about economic activity", which is actually first identified the business activities of the economic and legal grounds, consumer rights, responsibilities and guarantees.

Резюме

В статье подробно описанно закон «Об основах экономической системы» который принял Верховный Совет в 14 июня 1991 года, в соответствии с которым экономическая система Грузии основанно было на принципах рыночной экономикой отношений.

Также Верховный Совет принял закон об «экономической деятельности» в июле 1991 года, который первым делом определил деловую активность экономических и правовых оснований, права предпринимателя и обязанности, ответственности и гарантии.